

დიფტერია

რა არის დიფტერია?

დიფტერია არის დაავადება, გამოწვეული ბაქტერიებით სახელად *Corynebacterium Diphtheriae*. ეს ბაქტერიები ბინადრობენ ინფიცირებულ ადამიანის პირის ღრუში, ყელში და ცხვირში.

დიფტერია წარმოქმნის ძლიერ ტოქსინს (შხამს), რომელიც აზიანებს ორგანოებსა და ქსოვილებს მთელს სხეულში.

როგორ ავადდებიან ადამიანები დიფტერიით?

ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ დიფტერიას, გვხვდება ინფიცირებულ ადამიანის პირის ღრუში, ყელში და ცხვირში. ეს ბაქტერიები ადვილად ვრცელდება სხვა ადამიანებზე, ჰაერში ტენის წვეთების ხველებითან ცემინებით.

რა არის დიფტერიის სიმპტომები?

დიფტერიის პირველი ნიშანი ჩვეულებრივ ყელის ტკივილი და ყლუპვის გართულებაა.

სხვა გავრცელებული სიმპტომებია დაბალი სიცხე, გულისრევა, ღებინება, თავის ტკივილი და აჩქარებული გულისცემა.

დიფტერიამ შეიძლება გამოიწვიოს ყლუპვის გაძნელება, ქოშინი, გულის უკმარისობა და დამბლ.

გართულებები მოიცავს შემდეგს:

- გულის უკმარისობა
- დამბლ
- სუნთქვის სერიოზული პრობლემები
- ყლუპვის გართულება
- სიკვდილი

დიფტერია სერიოზული დაავადებაა. დიფტერიით დაავადებულებს შორის 20-დან 1 იღუპება.

ვინ უნდა მიიღოს დიფტერიის ვაქცინა?

დიფტერიის თავიდან აცილება შეიძლება ვაქცინაციით.

დიფტერიის ვაქცინას აძლევენ ბავშვებს, როგორც 6-1-ში ვაქცინის ნაწილს, 2, 4 და 6 თვის ასაკში.

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

6 1-ში ვაქცინა იცავს დიფტერიის, B ჰეპატიტის, B ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცას (Hib), ყივანახველს, პოლიომიელიტის და ტეტანუსისგან.

ვაქცინის ბუსტერ დოზა ინიშნება 4-5 წლის ასაკში, როგორც [4 1-ში ვაქცინის](#) ნაწილი, რომელიც იცავს დიფტერიის, ყივანახველს, პოლიომიელიტის და ტეტანუსისგან.

კიდევ ერთი ბუსტერ დოზა ეძლევა მე⁹ კლასში, როგორც [Tdap ვაქცინის](#) ნაწილი, რომელიც იცავს დიფტერიის, ყივანახველს და ტეტანუსისგან.

თუ თქვენს შვილს ესაჭიროება ვაქცინაცია, ან არ ხართ დარწმუნებულნი თქვენი შვილის ვაქცინაციის სტატუსში, და უკავშირდით თქვენს ოჯახის ექიმს რჩევისთვის.

ძალან მნიშვნელოვანია დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, იყო დიფტერიის შემთხვევები დიდბრიტანეთში და ევროკავშირის ქვეყნებში გასულწელს, და ისინი დაბრუნდება, თუ ადამიანები არ იქნებიან ვაქცინირებულნი.

ვინ არ უნდა მიიღოს დიფტერიის ვაქცინა?

ძალან ცოტა ადამიანი, ვინც არ უნდა მიიღოს დიფტერიის ვაქცინა. თქვენმა ბავშვმა არ უნდა მიიღოს ვაქცინა, თუკი მას ჰქონდა მძიმე ალერგიული რეაქცია (ანაფილქსია) ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის რომელიმე ნაწილზე.

რას უნდა ველოდოდ დიფტერიის ვაქცინის მიღების შემდეგ?

ვაქცინის მიღების შემდეგ თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება იმ ადგილს გარშემო, სადაც ინექცია გაუკეთეს. ის შეიძლება იყოს გაღიზიანებული და ჰქონდეს სიცხე.

თუ ეს მოხდება, შეგიძლიათ მისცეთ მას პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მისცეთ მას დიდი ოდენობით სითხე. დარწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელა და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარადგილს.

ბავშვებში, როგორც წესი, ეს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები აღგდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში

იმუნიზებულნი ბავშვებიდან;

- 10-დან 1-ს ექნება დისკომფორტი, სიწითლე და შეშუპება ინექციის ადგილზე ან ექნება სიცხე.

სერიოზული გვერდითი მოვლენები ძალან იშვიათია.

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

როგორ მუშაობს დიფტერიის ვაქცინა?

დიფტერიის ვაქცინა იცავს ბავშვებს იმ ტოქსინის მიმართ, რომელიც იწვევს დაავადების სიმპტომებს, და არქმის თავად ბაქტერიების მიმართ იმუნიტეტს. ვინაიდან ის მოქმედებს ტოქსინზე, მას ტოქსოიდი ეწოდება.

რამდენად ეფექტურია ვაქცინა?

ამ ვაქცინის სრული კურსი უზრუნველყოფს კარგ დაცვას დიფტერიისგან ადამიანების 95%-ისთვის. დიფტერიისგან იმუნიზებული ადამიანები შეიძლება კვლავ ატარებდნენ ბაქტერიას ყელში. ეს ნიშნავს, რომ მართალია ისინი დაცული არიან, მათ შეუძლია თმაც გადასცენ ბაქტერიები იმ ადამიანებს, რომლებსაც არ გაუკეთებიათ იმუნიზაცია და მცირეწლოვან ბავშვებს.

სად შეიძლება გავიგო მეტი?

ესაუბრეთ ჯანდაცვის სანდო პროფესიონალს და ეწვიეთ www.immunisation.ie